ცნობის ფურცელი

№ 1980 | კვირა, 10 ნოემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1980

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-66 №-რი

ლ. მ. დე-ზურის
მემკვიდრეთა მამულში
„ხოდაშ ნუბუხლით"-ს
სხვა-და-სხვა
ღვინო
150,000 ვედრომდე 1894—1902 წლების მოსავალი.

ვედრო 1 მან. 40 კაპეიკიდან 8 მანეთამდე. მსურველთ უნდა მიჰმართონ მამულის კანტორას: კვკავის რკინის გზის სადგური ხუდატი. (2—2

წარმოდგენა 3. ტელეფონი 617
✡ დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✡
ქართული თეატრი
კვირა, 10 ნოემბერს, 1902 წელს
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
◆ დაკლებულის ფასებით ◆
I
პატიოსნება
კომედია 4 მოქმედ. გენრიხ ზუდერმანისა, თარგმ. არ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი.

ადგილების ფასები: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ.-მდე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზე

მზადდება წარმოსადგენად **„გოვერდის მკვლელობა"**, **„მუშაკი და ნებიერი"**, **„მტერ მოყვარე ძმები"**. რეჟისორი **ვალ. გუნია**.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ჯაჩნაძისა. (წ).

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი
დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი
იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით სალამოს 5—6 საათამდის.
კიროჩნი ქუჩა. სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—22)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, კვირას, 10 ნოემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
ქ-ბ. **ინასაროვისა** და ბ. **ბონაჩიჩის** მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
კარმენ
ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ბიზესი.

კარმენის როლს შეასრულებს მ. ნ. ინსაროვისა. დონ ხოზეს როლს ა. პ. ბონაჩიჩი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ინსაროვისა, ოლგინისა, ბაუერ, სკორუპსკისა; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, ორშაბათს, 11 ნოემბერს, ბ-ნ ბონაჩიჩისა და დრამატ. სცენის მოყვარულის ბ. ამადინის მონაწილეობით, რეჟისორის ბ. ბელსკის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ციგანსკი ბარონ".

საოპერო დასი დარჩება მხოლოდ 15 ნოემბრამდე.

მთავარი რეჟისორი **ივ. ჩითოევი.**
(6. 0—40)

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა
„შრომა"
ჰყიდის ხე ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.
კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—21)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო სალამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

მეგრულის ენის სახელმძღვანელო

(წერილი სამეგრელოდან)

შემთხვევით ვნახე ეს ახალი სახელმძღვანელო, რომელიც შემოიღეს მეგრულის ენის შემწეობით რუსულის შესასწავლად. სახელმძღვანელო ერთ ბავშვს ეჭირა, ჩაჰყურებდა შიგ და რაღაცას ბუტბუტებდა. როდესაც ვკითხე იმ წიგნის ვითარება, მიპასუხა: „—ეს გახლავს მეგრული „უჩებნიკი", რომელიც მასწავლებელმა გადმომცა". —ჰაა, ეს წიგნი რუსულის ენის შესწავლის გასაადვილებლად გამოუციათ? — ვკითხე. „რას ბრძანებთ! შესწავლა კი არა, უფრო აგვირია გზა-კვალი! მაგის ვერა გავიგეთ რა"... —როგორ, მეგრული სიტყვები ვერ გაიგეთ? დავეკითხე მე. „—მეგრული შიგ მეხუთედი არ არის, რაღაც ახალი სიტყვები გამოუგონიათ, რომელიც არ გვესმის; აი დასამტკიცებლად წაგიკითხავ ერთს ვითომდა გამოცანას, რომელიც რუსულად გადუთარგმნიათ, თითქოს მეგრული სიტყვები იყოს!" და წაიკითხა შემდეგი: „მიშუშია, მიშუშია! მიშუშიას — მირკენჭია; მირკენჭიას—მიშვიტია; მიშვიტიას—მიფაფია; მიფაფიას—მინდორია; მინდორიას—ფარონი მიტრბაია". ხელ-ახლად წავაკითხვინე და მართლა შიგ მხოლოდ ორი მეგრული სიტყვა ერია: „მინდორია" და „ფარონი".

ცნობის-მოყვარეობა გამიორკეცდა, ვსთხოვე წიგნი და შინ წავიღე გადასათვალიერებლად. სახლში მიტანისთანავე შევუდექი და კიდევაც მალე შევისწავლე, რადგან ანბანი რუსულია, მხოლოდ თითო-ოროლა ასოს კუდები აქვს მიბმული, რომლის საიდუმლოებაც, როგორც იქმნა, გავიგე. ასე და ამ რიგად სრულიად გადავათვალიერე: ზღაპრები, იგავები, მოთხრობები, გამოცანები, ანდაზები და, დამერწმუნე მკითხველო, წაკითხულიდან ნახევარი ძლივს გავიგე, თუმცა კარგად მესმის მეგრული სიტყვები. ეს გაუგებრობა იმისგან მოხდა, რომ წიგნის შემთხზველნი სცდილან ქართულისათვის არ დაემსგავსებინათ, ხოლო, რადგან მეგრული იგივე ქართულია, ამიტომ სახელმძღვანელოში მეგრულიც ალარაფერი დარჩა. აი მაგალითები. უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ ამ წიგნის შემთხზველთ უმეტესი ნაწილი სიტყვებისა გადმოუღიათ სამურზაყანოდან, სადაც სრულიად სხვანაირად ლაპარაკობენ. სამეგრელოში სიმინდს „სიმიდი" ჰქვიან, ხოლო სამურზაყანოსა და ზემოხსენებულ წიგნში „ლაიტი"-ა ნახმარი, ბატს მეგრულად „ბატი" ჰქვიან, ხოლო ამ წიგნში „ლორლონჯია"; ინდაურს მეგრულად „ინდუური" ჰქვიან, ამ წიგნში „კოკუბი"-ა; სიტყვა „უპასუხა" მეგრულად ითქმის „უპასუხუ", ხოლო ზემოხსენებულ წიგნში „უგამია". სიტყვა „უეცრად" მეგრულად ითქმის „უეცარო", ხოლო ამ წიგნში „ალამო"; სიტყვა „სწორედ" მეგრულად ითქმის „წორაას", წიგნში „ბონათს" და სხვა-და-სხვა... ისეთი სიტყვაც ბევრია, რომელიც არც სამურზაყანოში გამიგონია და სხვაგან სადმე. მაგალითად, „მერე" დაურქმევიათ ტბისათვის, ხოლო მეგრულად ტბას „ტობას" ეძახიან; „ვე" დაურქმევიათ მინდორისათვის, რომელსაც მეგრულად იგივე მინდორი ჰქვიან; „ღარღალი" დაურქმევიათ მიჯნისათვის, რომელიც არსად სამეგრელოში არ გამიგონია; „ანგარიაშე" დაურქმევიათ სიდიდის რაოდენობისათვის (величина), როგორც თარგმანით ვსცან. ხოლო ეს სიტყვა არსად სამეგრელოში არ იხმარება და არც სამურზაყანოში გამიგონია და სხვა და-სხვა... ყველა სიტყვის აქ მოყვანა არ შეიძლება, რადგან ორი და სამი ფურცელი ქაღალდი ვერ დაიტევს. ჩემის აზრით, და თითოეულ მეგრელის აზრითაც, ასეთი სახელმძღვანელო ზარალის მეტს არაფერს მოიტანს. ან რად დასჭირდათ ამ უცნაურ სახელმძღვანელოს შემოღება, როდესაც სამეგრელოში ქართული ენა ყველამ, დიდმა და პატარამ, კარგად იცის!? განა უმჯობესი არ იქმნება რუსულის შესასწავლად ქართული ეხმარათ?

თ-დი გიორგი შერ. დგებუაძე

◆

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ერთის ადგილის მოგონება ჰამლეტიდან.—თოვლის მნიშვნელობა. იგი ყველაფერს დაჰფარავს, გარდა ტულის ისტორიისა. —დიდი ამბავი.

დედოფალი უცაბედად საწამლავს დალევს და გულშეწუხებული გადმოვარდება ტახტიდან; სასიკვდილოთ დაჭრილნი არიან ჰამლეტიც და ლაერტიც; ჰამლეტი გულს გაუგმირავს მეფეს დაშნით და დასცემს ძირს: „ოჰ, კაცის მკვლელო, დაწყევლილო, სისხლის შემრევო!" დასძახებს თან; კვდება ლაერტი და სიკვდილის წინ მიტევებას სთხოვს ჰამლეტს; გარედან ფორტინბრასის სამხედრო მარში ისმის და ზარბაზნების სროლა,—ეს შესაზარის სიკვდილის ხმაა. ლონე მიხდილი ჰამლეტი დაეცემა, გამოეთხოვება თავის მეგობარს ჰორაციოს და კვდება. „სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ", არის მისი უკანასკნელი სიტყვები.

ერთმა კრიტიკოსმა სთქვა —აქ არ მაგონდება მისი სახელი:—მთელს პიესაში („ჰამლეტში") არ მოიპოვება ამ სიტყვებზე უფრო შესანიშნავი და დიდებული ადგილიო. არც აჩრდილის კვნესა, არც ჰამლეტის მტანჯველი გაუბედაობა და სულიერი ბრძოლა, არც მისი „სწორედ მონა ვარ მაწანწალა და ყურ-მოჭრილი", არც სამარის კარზე თქმული „ყოფნა, არ ყოფნა", არც ის საშინელი მკვლელობის და სისხლის შერევის დანაშაულობა, რომელიც თავიდან ბოლომდის თავს დასტრიალებს ტრაგედიას, არც პოლონიუსის უცაბედი მოკვლა, არც ოფელიის გაგიჟება და მდინარეში ჩავარდნა, არც როზენკრანცის და გილდესტერნის დახოცვა, არც სცენა სასაფლაოზე, სადაც იმდენი მწარე აზრია გამოთქმული ადამიანის არსებობის შესახებ, არც ამდენი დიდებულის გვამი უკანასკნელ სურათში არ გვეუბნება იმდენს, რასაც ეს ჰამლეტის უკანასკნელი სიტყვებიო. ეს სიტყვები სიკვდილის მელოდიაა: ამ სიტყვებით ვგრძნობთ სიცივეს, სიჩუმეს, ყველაფრის მოსპობას, გაჩერებას და იმ საშინელებას, რომელიც თან მოსდევს ამ სამარის სიჩუმეს! „სხვა რაღა დარჩა?... საუკუნო სიჩუმე მხოლოდ", ეს სიტყვები აგვირგვინებს ტრაგედიას და უამისოდ ისე ძლიერ არ შეგვიპყრობდა ის საშინელი სურათი, რომელიც გადაშლილია ჩვენ წინ პირველის სცენიდან დაწყებული უკანასკნელამდის.

ძალა-უნებურად წაგიტაცებენ ეს სიტყვები, თითქოს ჰიპნოზით დაამორჩილებინეთ ვისმე, არც მოძრაობა გინდათ, არც რისიმე თქმა, შიში და შებრალების თხოვნა გამოიხატება თქვენს სახეზე მხოლოდ; მერე დაიწყებს ნელ-ნელა კანკალს და ისე ამოიქვნეშთ, თითქოს სული სამუდამოდ განშორდაო თქვენს სხეულს!..

გასაოცარია სწორედ და გაუგებარი სიდიადე პოეტისა, რომელსაც ძალუძს ასეთის სურათის დახატვა.

**

მე მომაგონდა შექსპირი და ეს სურათი, როდესაც მარტო ვიჯექი სახლში. თორმეტი საათი იქნებოდა ღამის; ყველაფერი დაჩუმებული იყო, წვიმდა და თოვდა წყნარად; ღარიდან წვეთები ეცემოდა მიწაზე, „კა-კა-კრა, კა-კა-კრა-კრრრა!" იძახოდა და მისი ხმა უნებურად იზიდავდა ჩემს ფიქრებს. წერა მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. წვეთების ერთნაირი და წყნარი ხმა უფრო სამწუხაროდ ქმნიდა შუაღამის სიჩუმეს; მე მკლავზე დავებჯინე თავით, გავჩერდი და ყურები მივაპყარ წვეთების მელოდიას. დავმშვიდდი, გული ნელ-ნელა ცემდა, სიამოვნებას ვგრძნობდი, მაგრამ რაღაც ახირებული იყო ეს სიამოვნება: არ მაკმაყოფილებდა. ეს სიამოვნება ჩემის „მე"-ს დაპატარავების სიამოვნება იყო, ჩემის არარაობის მომასწავებელი. ცოტას ვგრძნობდი, ცოტას ვფიქრობდი, და ალბად ამიტომ ვგრძნობდი სიამოვნებას. „კა-კა-კრა-კრა" აძინებდა ჩემს გონებას, აჩლუნგებდა ჩემს ნერვებს და მეც ეს მიამა. არა?..

მე ამას ვფიქრობდი, მაგრამ რომ არ მინდოდა ამის ფიქრიც ძალათ ვიშორებდი, ვდევნიდი ამ ფიქრს ჩემგან. თოვს და წვიმს, მალე წვიმას მიატოვებს და მარტო თოვლიღა იქნება, სულ თოვლი. თოვლი მოეფინება ყველაფერს, თოვლით დაიფარება ყველაფერი, გათეთრდება, გალამაზდება, გაბრწყინდება კიდეც, როდესაც მზის სხივები გადმოეშვება ზეციდან. რა კარგია! ყველაფერი დაიმალება, რაც სიბინძურეა, რაც დამპალი რამ ჰყრია ქუჩებსა და ეზოებში, რასაც საშინელი სუნი სდის და სწამლავს, შხამით ავსებს ჰაერს...

რა კარგია განსაკუთრებით ეს თოვლი სოფლისათვის! მე ვყოფილვარ სოფელში ზამთრის პირზე და სული შემწუხებია, ორ დღესაც ვერ დავრჩენილვარ იქ. ხეები გატიტვლებულია, მწვანე არსათ მოჩანს; გამხმარი და სიცივისაგან დაზარმაცებული საქონელი ნელ-ნელა მიიზლაზნება საბალახოთ; ღორები ერთმანეთს ეხუტებიან და ჰყვირიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარ-გარედ

გერმანია. რეიხტაგმა უკანასკნელ სხდომის დროს სატამოჟნო პროექტის მე-8 მუხლი მიიღო. ამ მუხლით დამატებითი ბაჟებია დაწესებული იმ ქვეყნების საქონლისათვის, რომლებიც გერმანიის საქონელს მეტად დიდს ბაჟს ახდევინებენ. შემდეგ ამავე სხდომის დროს აიხბიხლერისა და შპანის წინადადება განიხილეს. აიხბიხლერი და შპანი თხოულობენ, რეიხსტაგში ხმის შეკრების წესები შეიცვალოსო. ისეთი წესები უნდა დაწესდეს, რომ ობსტრუქციასთან ბრძოლა გაადვილდესო. ასე რომ, ეს წინადადება სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგაა შეტანილი. ამიტომ სოციალ-დემოკრატების დეპუტატებმა ზინგერმა, პაშალკმა და ბებელმა პროტესტი გამოაცხადეს ამ წინადადების წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, უმეტესობას უფლება არა აქვს, ეს წინადადება დაუყოვნებლივ გაარჩევინოს რეიხსტაგსაო. ბებელმა გამოაცხადა: უმეტესობას ისეთის წესების დაწესება ჰსურს, რომ უმცირესობამ ხმის ამოღება ველარ შეიძლოს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები თავიანთ პოლიტიკას არ უღალატებენ და ობსტრუქციაზე ხელს არ აიღებენო ამ დროს კონსერვატორებმა ისეთი ხმაურობა და ყვირილი ასტეხეს, რომ ბებელის ლაპარაკი სრულებით აღარ ისმოდა. სოციალ-დემოკრატებმაც ყვირილით უპასუხეს. როცა ხმაურობა ცოტათი დაწყნარდა, ბებელმა გამოაცხადა: სოციალ-დემოკრატები მარტო სატამოჟნო ტარიფს არ დააჯერებენ ობსტრუქციას, ბიუჯეტის განხილვის დროსაც ამავე ხერხს იხმარებენო.

თავისუფალ მოაზრეთა მეთაურმა ევგენი რიხტერმა გამოაცხადა: უმეტესობას სრული უფლება აქვს თავის ნებით დაადგინოს, ესა და ეს წინადადება დაუყოვნებლივ განიხილოს რეიხსტაგმა, თუ არაო. როცა რიხტერმა ლაპარაკი გაათავა, კონსერვატორებმა და კათოლიკებმა ძლიერი ტაშის ცემა ასტეხეს. ბოლოს რეიხსტაგმა 187 ხმის უმეტესობით 67 წინააღმდეგ დაადგინა, აიხბიხლერისა და შპანის წინადადება დაუყოვნებლივ განვიხილოთო.

ინგლისი. 1 ნოემბერს კოლსტონში ლიბერალებმა დიდი ნადიმი გამართეს. ნადიმის დროს ლიბერალ-იმპერიალისტების მეთაურმა ასკიტმა სიტყვა წარმოსთქვა სასკოლო ბილის წინააღმდეგ. ასკიტის შემდეგ ლიბერალ-დეპუტატმა ბირელმა მილიტარიზმის წინააღმდეგ ილაპარაკა და ძლიერ მოსწრებულად და მარილიანადაც ილაპარაკა. ბირელმა სთქვა:

„პირველ მინისტრის ლაპარაკის კილომ ძლიერ გამახარა. ბალფურმა ამ დღეებში ყველა სახელმწიფოებს „საერთაშორისო სიყვარულის" დამყარება ურჩია. ამას წინად შეერთებულ შტატების პრეზიდენტმაც ესევ ურჩია ყველას. ჩვენს მეფეს ხომ, ეჭვი არ არის, ძლიერ უყვარს მშვიდობიანობა და ზავი. დასასრულ, ამ ჟამად ინგლისს მძლავრი იმპერატორი ესტუმრა. ამ იმპერატორსაც ყოველთვის მშვიდობიანობა ჰსურს. ეხლა, ამ წამს, იმპერატორი ხოხბებსა ჰხოცავს. დარწმუნებული ვარ, ყველანი დამეთანხმებიან, თუ კი უსათუოდ საჭიროა ვისიმე დახოცვა, ისევ სჯობია, ხოხბები ჰხოცონ (სიცილი და ტაშის ცემა). ხსენებული პირები რომ ეცადნენ, დარწმუნებული ვარ, ადვილად მოახერხებენ, სამხედრო ხარჯებს თან-და-თან მოაკლდეს."

◆ ამ დღეებში ლონდონის ახალი ლორდ-მერი (ქალაქის მოურავი) მარკ სამუელი თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა და ამის გამო ჩვეულებრივი ნადიმი გამართა. ნადიმზე ყველა ქვეყნების ელჩები მიიწვიეს, რუმინიის ელჩის გარდა.

გაზ. „იოვიშ ქრონიკლ"-ი სწერს: რუმინიის ელჩი იმიტომ არ მიიწვია ახალმა ლორდმერმა, რომ ამით რუმინიის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება უნდოდაო, რადგანაც რუმინია ძლიერ აწუხებს ურიებსაო. „სენ ჯემს გაზეთ"-ის თანამშრომელი მისულა ლორდმერთან და უკითხავს: რუმინიის ელჩი რატომ არ მიიწვიეთ ნადიმზეო. სამუელს მიუგია: ლონდონის სალაქო სახლში ჩვეულებადაა დადებული: იმ სახელმწიფოების ელჩები, რომლებიც ხელ-შეკრულობის ძალით ნაკისრ პირობებს არ აასრულებენ, ნადიმზე არ მიიწვიონო. გაზეთს გაუგია: ინგლისის მთავრობა ამ საქმის პასუხის გებას თავის-თავზე არ იკისრებსო.

საფრანგეთი. პალატამ კომისია აირჩია და დაავალა, შეისწავლეთ რა პირობებში მუშაობენ ქვა-ნახშირის მაღაროების მუშებიო. კომისიაში 33 წევრია. ოპოზიციას—11 ადგილი დაუთმეს: 6 მელინისტია, 3 „ლიბერალი" და 2 ნაციონალისტი. დანარჩენი 22 ადგილი მარცხენა პარტიას შეჰხვდა: რადიკალებმა, რადიკალ-სოციალისტებმა და დემოკრატიულმა კავშირმა—ექვს-ექვსი ადგილი მიიღეს, სოციალისტებმა კი—4.

◆ გაზეთი „გოლუა" აბრალებდა საიდუმლო პოლიციის უფროსს კოშეფერს, ემბერებს გაქცევა უშველაო; კოშეფერმა სასამართლოში უჩივლა „გოლუა"-ს ცილის წამებისათვის. ამ საქმის გარჩევა 12 ნოემბერს მოხდება. კოშეფერის ინტერესებს ალბერტ კლემანსო დაიცავს, „გოლუა"-სას კი ადვოკატი ტესენა.

◆ აბატმა გეირომ გამოუცხადა „ლიბრ პაროლ"-ის თანამშრომელს: როცა პალატაში კონგრეგაციების თხოვნების გარჩევას დაიწყებენ, კლერიკალი დეპუტატები ყოველ კონგრეგაციის ისტორიას დაწვრილებით უამბობენ პალატას. დეპუტატების კამათი სიტყვა-სიტყვით დაიბეჭდება „ოფიციალურ ჟურნალში" და ამნაირად მთავრობის გაზეთი სრული ერთის თვის განმავლობაში საეკკლესიო ისტორიის კურსის ბეჭდვას მოუნდება.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტში 1-ლ ნოემბერს მუშების პარტიის მეთაურმა პერნერსტორფერმა ლუეგერისა და იმის მიმდევარ ანტისემიტების წინააღმდეგ ილაპარაკა. პერნერსტორფერმა ადვილად დაამტკიცა, ანტისემიტებმა ტყუილ უბრალოდ დასწამეს ცილი მუშებსაო, მუშები მშვიდობიანად და წყნარად იქცეოდნენო. მაგრამ თითონ ანტისემიტებმა წააქეზეს პოლიციაო და უმიზეზოდ მიუსიეს სოციალისტებსაო. ეს მით უფრო ადვილად მოახერხეს ლუეგერის მიმდევრებმა, რომ პოლიციაში დიდ ძალი ანტისემიტი მსახურობს. პერნერსტორფერმა სთქვა: „ამ საზიზღარ ამბის შემდეგ, ყველამ აშკარად დაინახა, რომ სოციალისტების წინააღმდეგ ყველაფერს კადრულობენ. ვის როგორ ჰნებავს, ისე მოექცევა მუშებს. პოლიციის უფროსი, პირველი მინისტრი, თუ იუსტიციის მინისტრიც—ყველანი სოციალისტების წინააღმდეგნი ყოფილან. ყველა ამ ვაჟბატონებს ისე ეშინიანთ ლუეგერისა და იმის მიმდევრებისა, რომ თავიანთი მოვალეობა სულ მიავიწყდათ."

ამის შემდეგ მუშების მეთაურმა თითონ ლუეგერი დაახასიათა: მეტის-მეტად უსინიდისო და უპატიოსნო კაციაო. ამისთანა უსინიდისო კაცთან კი ყველა უმაღლესი სახელმწიფო პირები საქმეს იჭერენ. ლუეგერი იმპერატორის ერთგულ კაცად და დიდ პატრიოტად ითვლებაო. საჯაროდ ვაცხადებ, რომ ლუეგერი საზიზღარი ცილის მწამებელიაო. იმისთანა სამარცხვინო და საძაგელი კაცი მთელს ავსტრიაში არავინააო.

პარლამენტის თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა ორატორს ამ სიტყვების თქმისათვის, მაგრამ პერნერსტორფერმა მაინც დაასრულა ლაპარაკი და ბოლოს გამოაცხადა, ანტისემიტები ისეთი ხალხნი არიან, რომ ხელიდან ყოველი ბოროტ-მოქმედება გამოუვათო.

მუშების დეპუტატები მოწონების ნიშნად ხშირად ტაშს უკრავდნენ ორატორს; ანტისემიტებს კი ხმაც არ გაუციათ პერნერსტორფერისათვის; თავიანთ ჩვეულების წინააღმდეგ. ერთი გინებაც არ წამოსცდენიათ. ეტყობა, წინადვე დარიგებულნი იყვნენ და ამიტომ იქცეოდნენ ასე თავ-დაჭერით. თითონ ლუეგერიც ამშვიდებდა თავის მიმდევრებს.

იტალია „ტრიბუნა" იუწყება: მინისტრების საბჭომ 31 ოქტომბერს გადასწყვიტა შემდეგი კანონ-პროექტები წარუდგინოს პარლამენტს: ცოლ-ქმართ გაყრის უფლება მიეცესთ; მარილის ფასი 40 ჩენტეზიმიდან 25-მდე შემცირდეს; სოფლის შენობებს გადასახადი მოაკლდეს; იმ ადგილებს, სადაც ძალად ტყე გაუშენებიათ, მიწის გადასახადი აღარ გადახდეთ. ამას გარდა კიდევ ბევრს კანონ-პროექტს წარადგენენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღსადგენად. ოპოზიციის გაზეთები ირწმუნებიან, მთავრობამ სონინოს სიტყვის შემდეგ გადასწყვიტა ხსენებულ კანონ-პროექტების შეტანაო. „პოპოლო რომანო" შეჰნიშნავს: „თუ მთავრობამ ეს მომხიბლავი პროექტები შეასრულა, ხაზინას შემოსავალი მოაკლდებაო".

ახალი ამბავი

◆ პარასკევს, 8 ნოემბერს, **ქართველ ქალთა მომავალ სკოლის** სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. შემოსავალი დაახლოვებით 1400 მ.-მდე იქნება. მთავარ მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა 200 მან., თავ. ზაქ. ერისთავმა და კნ. ნ. ხერხეულიძისამ—ას-ასი მანათი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 8 ნოემბერს განიხილა მოხსენება მღვდლის მ. ცინცაძისა. მღ. ცინცაძე თხოულობს გადაიდოს საჭირო ფული ადგილის შესაძენად, რომელზედაც უნდა გაიყვანონ **ახალი ქუჩა** დიდუბისა და ელისაბედის ქუჩების შესაერთებლად. ამ ქუჩამ უნდა გაიაროს დიდუბის ქუჩიდან მღვდლის გურგენიძისა და აკოფოვის მამულთან. გამგეობამ, მიიღო რა სახეში ამ გზის საჭიროება დიდუბელთათვის, გადასწყვიტა გადასდოს 3000 მ. ადგილის შესაძენად. ეს გადაწყვეტილება მალე ქალაქის საბჭოს წარედგინება.

◆ გუშინ ნაძალადევის მცხოვრებმა ინჟინერ-ტეხნოლოგმა ბერეზოვსკიმ განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში, რომ დაუთმობ ქალაქს **ხორცის დუქნისათვის** ჩემს სახლს ნაძალადევშიო. ბერეზოვსკი განცხადებაში სწერს, ქალაქის განაპირა ადგილებში მცხოვრებნი უფრო გაჭირვებულნი ვართ ყასბების თვითნებობისაგან, ვიდრე ქალაქის შუაგულის მცხოვრებნიო.

◆ გზათა სამინისტროს დაუმტკიცებია იმის პროექტი, რომ **რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი** ტფილისში ისე მოეწყოს, არსებულ კლასებთან კიდევ დამატებითი კლასები გაიხსნას. ამისათვის საჭიროდ შეიქმნა სასწავლებლის შენობის გაფართოვება. ამის პროექტი სასწავლებლის ინსპექტორს ა. ს. ბაბოვს შეუდგენია და სამინისტროსაც მოუწონებია; ეხლა ეს პროექტი დაწვრილებით შეუმუშავებია ბ-ნ ბაბოვს და ამ დღეებში სამინისტროს წარუდგენენ, აგრეთვე შენობის გადასაკეთებელ ხარჯთ-აღრიცხვასაც. იმედი აქვთ, გაზაფხულიდან მუშაობა დაიწყონ და მომავალ შემოდგომიდანვე კლასებსაც მოუმატონ.

◆ ამ თვის 17 რიცხვს დანიშნულია ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების **რწმუნებულთა საგანგებო კრება.** კრებამ უნდა გაარჩიოს და განიხილოს სია იმ მსესხებელთა, რომელთა საზოგადო კრება მომავალ დეკემბერში უნდა მოხდეს რწმუნებულთა ახალ ვადისათვის ასარჩევად.

◆ როგორც ვუწყით, ტფილისის ხელოსანთა კანცელარიის საქმეების განსახილველად გუბერნატორის განკარგულებით განსაკუთრებული კომისია დაინიშნა. კომისიას მარტო იმ დროის საქმეები უნდა განეხილა, როცა ხელოსანთა მოურავად კ. სერობიანცი იყო. კომისიამ, სხვათა შორის, აღმოაჩინა, რომ სერობიანცს არა დანიშნულებისამებრ საზოგადოების თანხიდან დაუხარჯავს

ქართებში; ისლით დახურულ სახლებიდან სუსტი კვამლი ამოდის—ეს იმის ნიშანია, რომ ცოტა შეშა აქვთ მათ პატრონებს; ეზოებში დაინახავთ სახე გალურჯებულ, ფეხშიშველ და სიცივისაგან წელში მოხრილ ბავშებს…

რა კარგია, როდესაც თოვლი მოვა და გატიტვლებულ ხეებს და გამხმარ მინდვრებს ერთიან დაჰფარავს, საქონელს და ადამიანს სახლში შერეკავს, ყველაფერი მიიმალება და აღარ გამოჩნდება არც სიტიტვლე და აღარც სიმშილი. სოფელი მაშინ ისეთი ლამაზია, ისეა მორთული, როგორც გასათხოვარი მზეთუნახავი, და თვალს ეგონება, რომ მხოლოდ სიმდიდრეა, სილამაზე, მხიარულება და სრული ბედნიერება სოფელში, ახ! რა კარგია ეს თოვლის სუდარა: სიკვდილისაც ალამაზებს და სიბინძურეს უხილავად ჰქმნის!

„კა-კა-კრა!"—თოვე, თოვე! და ჩქარა დაჰფარე, რაც-კი შესაზარი სანახავია, დამპალია და ჰყარს…

**

მაგრამ ბევრი რამაა კიდევ დედამიწაზედ, რასაც ვერ გადაეფარება, ვერ დამალავს თოვლი, მთელი წელიწადი რომ თოვოს მაინც.

განა რამე დამალავს ადამიანის მონობას, ჯაშუშობას, გამცემლობას, გონების დასახიჩრებას? არ გამოჩნდება შიშველი ფეხი, არ გამოჩნდება მშიერი სახე, მაგრამ ადამიანის ტანჯულს სულს რამე დამალავს, და მერე თოვლი?!

რუსეთში ეხლა ისეთი თოვლია, რომელსაც ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ, თუ არ გვინახავს პირადად რუსეთის ზამთარი. ორი არშინის თოვლით იქნება მოფენილი მიწა, ხეები დაბუმბლული, სახლების სახურავებს ვერც-კი დაინახავს ადამიანი, ისე იქნება გადასწორებული, გადათეთრებული ყველაფერი; მხოლოდ აქა-იქ ამოსული კვამლი მოგადონებთ, რომ აქ სიცოცხლეა, ადამიანები ცხოვრობენ. მიიხედ-მოიხედავთ და ირგვლივ თვალმიუწვდომელ თეთრს მინდვრებს ხედავთ მარტო. რაღაც თავისებური სილამაზეა ამ გაჩუმებულ, გაყრუებულ ერთგვარ სივრცეში, მაგრამ უჩვევს და უცხო ადამიანს შიშს და მწუხარებას აღუძრავს იგი გულში….

და განა ასეთმა თოვლმა ხელი შეუშალა ტულის ერთს ხუცესს, რომელმაც სწორედ შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა ამას წინად ტულის საეპარქიო უწყებებში? ამ პატივცემულს პირს ქუჩაში რობერტ ლენცის აფიშა წაუკითხავს, აი ჩვენში რომ იყო, იმ ლენცის, წაუკითხავს, რომ ეს ლენცი ცალიერ შკაფიდან ექვს კაცს გამოიყვანს, კაცს გააქრობს, ცოცხალ ადამიანს თავს მოსჭრის და მერე ისევ გააცოცხლებს. „ოო! წამოიძახა თურმე ხუცესმა: აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს, თორემ ეგ ვიღაც ლენცია, ისიც გერმანელი, ურჯულო ბასურმანი, სასწაულებს როგორ მოიქმედებსო!" დააცქერდა აფიშას და ყველაზე უფრო იმან მიიქცია მისი ყურადღება, რომ აფიშაზე ეშმაკები იყვნენ გამოხატულნი, მუხლი მოედრიკათ და მოწიწებით შეჰყურებდნენ ლენცის სურათს. „ჰმ! გაიფიქრა ხუცესმა: აი, აი ეს არის სწორედ!" წავიდა, აიღო ნება-რთვა, ვისგანაც ჯერ იყო, და დაესწრო ლენცის წარმოდგენას. ყველაფერი ნახა დაკვირვებით, ყველაფერი მოისმინა, თუმცა მაინცა-და-მაინც ახლოს არ მიჰკარებია ლენცს, რადგან ეშინოდა მავნე სულების. მეორე დღეს კი შემდეგი აღსარება გამოაქვეყნა ადგილობრივ საეპარქიო უწყებებში: „მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი ვაცხადებ საქვეყნოდ, რომ რობერტ ლენცი არის ჯოჯოხეთის შვილი და მონა სატანისა, ბატონისა ჯოჯოხეთისასა. ვფიცავ და აღვიარებ ღვთის წინაშე, რომ ლენცი თვალთ-მაქცობს და აკეთებს ფოკუსებს მხოლოდ ეშმაკების შემწეობით, რომელთაც მიჰყიდა მან თვისი სული. ამინ."

ეს წერილი ყველა გაზეთში იყო გადაბეჭდილი სავსებით და მე მხოლოდ შემოკლებით მოვიყვანე აქ. ნეტავ ვიცოდეთ: მისი ავტორი „მოსკოვ. ვედომოსტ"-ებს და „გრაჟდანინ"-ს ჰკითხულობს?..

**

ჩვენებური ერთი გოჯა თოვლი ხომ სრულებით ვერ დამალავს და დააყუჩებს ჩვენს პროვინციელებს და მათ იდეოლოგებს—გაზეთის კორესპონდენტებს: ისევ წვრილმანნი იქმნებიან, ისევ „თავ მოყვარენი", ისევ ჭორიკანები!

აი ერთს დაბას თუ ქალაქს სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს, რომლისთვის იმდენი ფიქრი დაიხარჯა, იმდენი სიტყვა წარმოითქვა, იმდენი არშიყობა იყო გამართული, იმდენი სიამოვნება და უსიამოვნება მიაყენეს ერთმანერთს ქალებმა და ვაჟებმა, რომ მათის შემწეობით ადვილად შეიძლებოდა ციხის აშენება (თუ საქართველოს აღდგენა არა!). გაიმართა წარმოდგენა, ზოგს მოეწონა სცენის მოყვარეთა თამაში, ზოგს არა, ზოგს ძალიან მოეწონა, ზოგს ნაკლებად. ამის შესაფერისი კორესპონდენციებიც გაიგზავნა სხვა-და-სხვა გაზეთებში. ერთმა სთქვა ქალბატონ იქსის შესახებ „არა უშავდაო", მეორემ კი შეუდარებელის სახელი უწოდა.

რასაკვირველია ქებისათვის, განსაკუთრებით „შეუდარებლობისათვის", ქალები არავის გაუჯავრდებიან (თუ არა ვცდები), მაგრამ ვაი იმ კორესპონდენტის ბრალი, რომელმაც წინ-დაუხედველად მოიქცა და ქებით არ მოიხსენია სცენის მოყვარე ქალი. დაუწყებენ დევნას, ლანძღვას, კრებებსაც მოახდენენ მის წინააღმდეგ, ქვეყნის დამღუპველს დაუძახებენ და სახალხო ინტერესების უარ-მყოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოვებით 860 მანეთამდე. ხელოსანთა გამგეობამ რამდენჯერმე ოფიციალურად მიჰმართა სერობიანცს და განმარტება სთხოვა აღნიშნულ ფულის შესახებ, მაგრამ დღევანდლამდე სერობიანცს პასუხიც არ გაუცია. ამის გამო **ხელოსანთა გამგეობამ გადასწყვიტა** წარუდგინოს გუბერნატორს მოხსენება სერობიანცის ასეთ თვითნებობის შესახებ.

✦ 8 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა **ცხენის რკინის გზის შემოსავლის** გამორკვევა, რომ იმისდა მიხედვით გადასახადი გაეწერა ქალაქის სასარგებლოდ. გამგეობამ გადასწყვიტა, დაავალოს გამგეობის ბუხჰალტერს შეადგინოს დაწვრილებითი ანგარიში. ამ ანგარიშით გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს და მოსთხოვოს უსახელო საზოგადოებას შემოსავლის კვალობაზე გადასახადი.

✦ ამ ცოტა ხანში **გერმანიიდან კავკასიაში ჩამოვლენ** ჩვენის კუთხის დასათვალიერებლად გერმანიის ქვეშევრდომნი მაქს ბუდინი, ფელიქს ლიტერმანი და არტურ გილკა. მთავარ-მართებლის ბრძანებით, გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს დახმარება გაუწიონ აღნიშნულ პირთ მგზავრობის დროს.

✦ საგუბერნიო მთავრობამ სავალდებულოდ გაჰხადა იმ ებრაელთათვის, რომელნიც ხელოსნობის ძალით სცხოვრობენ ქალაქში, რომ **უთუოდ თავისის ხელობის ნაწარმოებით** ივაჭრონ და სხვა ნივთი არა შეურიონ-რა თავისს ვაჭრობაშიო. პოლიციას შეუნიშნავს, ზოგი ებრაელი არ ასრულებს ამ მოთხოვნილებას და ამათთვის ოქმი შეუდგენია და საგუბერნიო მთავრობისათვის წარუდგენია. მთავრობაც სამართალში მიცემას უპირებს თურმე ამისთანა ებრაელებს.

✦ სახლის პატრონთ ქალაქის პოლიცია ავალებს დანიშნულ ვადაზე **უთუოდ ქვა-ფენილები გააკეთეთ** ან შეაკეთეთ სახლების წინაო. ზოგი სახლის პატრონი უცხადებს ქალაქის გამგეობას, ქვა-ფენილები როგორ გავაკეთოთ, როცა ქუჩა სრულებით მოუკირწლავიაო. ჯერ ქალაქმა ქუჩა მოკირწლოს და მერე ჩვენც მოვალე ვიქნებით ჩვენი სახლის წინ ქვა ფენილიც დავაგოთო.

✦ რამდენი ხანია 1-ლი ღამის თავ-შესაფარი უნდა დაეთვალიერებინა კომისიას და ტეხნიკოსს, რომ იქაური უწესრიგობა მოესპოთ, მაგრამ აქამომდე არც კომისია მისულა თურმე იქ და არც ტეხნიკოსი, ასე რომ დავრდომილნი მდგმურები ამ თავ-შესაფარისა ისევ იმ აუწერელ სიბინძურესა და გაჭირვებაში არიან, რომელიც ექიმმა ქალმა შჩერბინინისამ დიდი ხანია დაუხატა და წარუდგინა ქალაქის გამგეობას. ამას გარდა, ამ გაჭირვებულთათვის არ არის არც შეშა, არც ხაო და არც თუ სხვა აუცილებელი საჭიროებაა დაკმაყოფილებული დღემდე...

✦ მოგვივიდა „საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობანი“ მე-4 №, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია წერილი პოდოზერსკისა „სამეგრელო-ეტნოგრაფიულისა და გეოგრაფიულის შინაარსისა.

✦ როგორც აღვნიშნეთ, დიდუბეში ამ ორის წლის წინათ ცეცხლისაგან დაზარალებულთა შემწეობისათვის ქალაქის გამგეობამ გადასდო 250 მან. ეხლა გამგეობამ გადასწყვიტა მაინდოს თავისს აგენტებს დაზარალებულთა მდგომარეობის გამოძიება. ნეტა როდის ეღირსებათ დაზარალებულთ ქალაქის საბჭოსაგან გარდაწყვეტილ თითო-ოროლა მანეთის მიღება?

✦ როგორც გვატყობინებენ, ნოვობაიაზეთის სოფ. ზარში პოლიციას შეუპყრია ციმბირიდან გამოქცეულნი მაჰმედი და ალი; ავაზაკები ტფილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის საპყრობილეში დაამწყვდიეს.

✦ 6 ნოემბერს, პოლიციის მე-2 ნაწილში, გიორგი შატბერაშვილისთვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს 725 მან. ეჭვი მიუტანიათ რაჭის მაზრის მცხოვრებ თედო კერვალიძეზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ცეცხლი წაუკიდებიათ სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინის მცხოვრებ გლეხის ნიკოლოოზ ხარიტონიშვილის თივების ზვინებისა, ხე-ტყის მასალისა და შენობათათვის და სულ ერთიანად გადაუბუგავთ. ხარიტონაშვილს 1000 მანეთამდე ზარალი მოსვლია.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია შემდეგ ადგილებში განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს: ზუგდიდში 4-დან 9 ნოემბრამდე, ბათუმში—11-დან 16 ნოემბრამდე, საჩხერეში 23-დან 29 ნოემბრამდე და სოხუმში 28 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე.

✦ ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს გამგეობამ ძალიან ფართოდ მოჰკიდა ხელი ბამბის ყიდვის საქმეს. ბამბის გასარჩევად შეიძინა მანქანა, დაიქირავეს მხეიძის ადგილი მ. ლალიძის ქარხნის გვერდით და ააგეს იქ ხის ფარდული. მანქანას ამუშავებენ ლალიძის ქარხნიდან ნასესხებ ორთქლის ძალით. ასე რომ საქმე ჯერ-ჯერობით ჩინებულად მოაწყეს და კარგი სანახავიცაა ამ ჟამად ამხანაგობის ბამბის საწყობი ფარდული; ხალხიც ბლომად მიდის იმის სანახავად. ფარდულში მუშაობს 10—15 პატარა ქალი, რომელნიც კალათებით აწვდიან მანქანას ბამბას. რამდენიმე მამაკაციც მუშაობს ფარდულში. დღეში მუშაობა რვა საათს სწარმოებს. ამხანაგობას 7—8 ათასი ფუთი ბამბა აქვს ნაყიდი. ფასი 2 მანეთიდან 2 და ათ შაურამდე აუწევიათ. უფრო მეტ ფასშიაც იყიდდნენ, რომ ბამბა კარგი ღირსებისა იყოს, მაგრამ წლევანდელ მოსავალს ძაფი ცოტა არ უვარგა. ამ ფასებში აქაური ბამბით მოვაჭრენი საუკეთესო ღირსების ბამბას ჰყიდულობენ. ბევრ სოფლელს პირ-და-პირ ამხანაგობასთან მიაქვს ბამბა და ყველანი თურმე ძალიან კმაყოფილნი არიან „ამხანაგობის“ წეს-წყობილებით.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე 8 ნოემბერს წავიდა ქუთაისიდან. რამდენსამე დღეს ტფილისში დარჩება და შემდეგ გაემგზავრება პეტერბურგისაკენ.

✦ ქუთაისის საბჭოს ხმოსანს ს. ი. წერეთელს მოხსენება შეუტანია ქალაქის გამგეობაში და ურჩევს ქალაქს, ქუთაისიდან რიონის სადგურამდე გაიყვანოს სალორიის ტყეში რკინის გზის ლიანდაგი ელექტრონულ ტრამვაისათვის. „ამით, ამბობს ბ. წერეთელი, ქალაქს დიდი სარგებლობა მიეცემა, რადგან ქალაქის მამულების ფასი სალორიაში ერთი-ორად იმატებსო“. ურჩევს ქალაქს თვითონ იკისროს ამ გზის გაყვანა. „მაგრამ, თუ ქალაქი რაიმე მიზეზის გამო ვერ შესძლებს ამას, იმ შემთხვევაში მე მომეცით ეგ საქმე საკონცესიოთაო“. მოხსენებას მომავალ სხდომაზე განიხილავს ქალაქის საბჭო.

✦ ქუთაისის მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევა ჯერ არ დამთავრებულა. გაწვეულთა რიცხვში მოჰხვდნენ ზოგიერთი ის ყმაწვილებიც, რომელნიც ამჟამად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლობენ თურმე. ამ ყმაწვილების მშობლებს გამოუცხადეს, დეპეშით დაიბარეთ, რომ ორი დღის განმავლობაში აქ იყვნენო, წინააღმდეგ შემთხვევაში მივწერთ და ჩამოყვანის გარდა, ისინი სასწავლებლიდან იქნებიან დათხოვნილიო. თურმე სათავად-აზნაურო სკოლაში მოსწავლე მოწაფეებს არავითარი შეღავათი არა ჰქონიათ. გვიკვირს, რომ აქნობამდინ ჩვენს თავად-აზნაურობას ამის შესახებ არაფერი უზრუნვია.

რუსეთის ქრონიკა

✦ აზრადა აქვთ გამოსცენ ახალი კანონი ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვის შესახებ. განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული კანონი უკვე განიხილა ფინანსთა სამინისტრომ და ეხლა სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა.

✦ როგორც ვუწყით, უმაღლესის ნებართვით შესდგა კომიტეტი ფონდის შესადგენად პუშკინის სახელობაზე დაარსებულ დაწესებულებათა სასარგებლოდ. დღემდე ამ ფონდისათვის შეიკრიბა სულ 102,471 მანეთი და 72 კაპეიკი.

✦ ფინლიანდიაში წელს დიდი მოუსავლიანობაა. ამბობენ, გლეხობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდებაო. ადგილობრივი მთავრობა ეხლავე შეუდგა თადარიგს დაზარალებულთა დასახმარებლად. გაზეთებმა და კერძო კაცებმა ხელის-მოწერა გამართეს.

✦ ხშირად რკინის გზებზე ბარგი იგვიანებს და იმ მატარებლით ვერ მიდის დანიშნულ ადგილას, რომლითაც ბარგის პატრონი მგზავრობს. გზათა სამინისტრომ დაავალა რკინის გზებს, ასეთ შემთხვევებში ბარგი პატრონს იმ ადგილას გაუგზავნონ ხოლმე, სადაც იგი მოისურვებს.

✦ ჰფიქრობენ, ფინლიანდიის რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის ისეთივე ფორმა შემოიღონ ტანისამოსისა, როგორიც რუსეთშია.

პატარა დღიური

წლევანდელი სეზონი მეტად „მოუსავლიანი“ გამოდგა ტფილისის თეატრებისათვის. რაღაც ისეთმა სიომ დაჰბერა, რომ თეატრებს ყველანი გაურბიან. საღამოობით კასების წინ დგანან მელპომენისა და ევტერპას მართლმორწმუნენი და ხელაპყრობილნი ეხვეწებიან ზეცას, ღმერთო, დღეს სამი კაცი მაინც შემოიყვანე თეატრშიო. მაგრამ ზეცა იმათ ვედრება-მუდარას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და თეატრი მაინც ცარიელია და ცარიელი. ასეთ დღეშია როგორც „საარტისტო საზოგადოებისა“, ისე თავად-აზნაურთა თეატრი.

იმ თავითვე ეტყობოდა, რომ ეს სეზონი ნაკიანი უნდა ყოფილიყო. საქმე თავ. წერეთლის საოპერო დასმა დაიწყო. პირველადვე ტფილისელებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ დასს. ზოგმა „სახელოვნო ნაწილის გამგე“ დაუწუნა, ზოგმა—თეატრი არ ვარგაო, ზოგმა კიდევ—ახალგაზრდა არტისტებიაო. ასევე ეჭვის თვალით შეხედეს რუსულ დრამატიულ დასს, ქართულ და სომხურ წარმოდგენებს. ერთის სიტყვით, ტფილისის თეატრებს ის დასაქცევი „კრიზისი“ ეწვიათ, რომელიც ყველგან ასე შეუბრალებლად სწეწავს საქმეებს.

არც ბაქოს ასცდა კრიზისი, მხოლოდ იქ იგი რეცენზენტთა ბანაკს ეწვია. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბაქოში დღეს, ერთის ნაცვლად, მთელი სამი გაზეთი გამოდის. ერთის გაზეთის რეცენზენტს სამართლიანად უფიქრნია, რომ ქვეყანაზე ბევრი ჩემზე ჭკვიანი და მცოდნე რეცენზენტია, ისინი კარგად და დალაგებით სწერენ და ამიტომ მე თავი რაღად შევიწუხოო. შემდეგ არც აუდია, არც დაუდია, ამდგარა და სიტყვა-სიტყვით გადმოუბეჭდია ერთ სატახტო ქალაქის გაზეთში მოთავსებული რეცენზია. მეორე დღეს, რასაკვირველია, ყველანი მიმხვდარან, რომ ბაქოში ასეთ ჭკვიანურ რამეს ვერავინ დასწერდა, და ატეხილა დავიდარაბა მეტოქე გაზეთების რეცენზენტთა შორის.

ტფილისს ღმერთმა ააშორა ასეთი რეცენზენტები, თუმცა თეატრის მემატიანენი ვერც აქ მოქმედებენ თანხმობით. ჰკითხულობ, ბატონო, რეცენზიებს და გაოცებული რჩები: ერთი რომ ერთს ამბობს, მეორე სულ წინააღმდეგს გაიძახის. აი მაგალითიც. კვირას, ესე იგი დღეის სწორს ქართულ თეატრში „მეორედ გაყმაწვილება“ წარმოადგინეს. ქ-ნ კარგარეთლის შესახებ ერთი რეცენზენტი სწერს: „ქ-ნ კარგარეთლის თამაშობას ეტყობოდა გრძნობა და დაკვირვება, რის გამო კარგი შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე“; მეორე რეცენზენტი: „სუსტნი იყვნენ ქ-ნნი კარგარეთლიც და დეჟავაც. სრულიად შეუფერებელია პირველისათვის დრამატიული როლები, განსაკუთრებით ხნიერ დედის, მწუხარე და დაჩაგრულის ადამიანის როლი; ქ. კარგარეთლი მოკლებულია ღრმა გრძნობებს“ და სხვა; მესამე რეცენზენტი: „განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისამ, კარგარეთლისამ და ბ-ნთ გამყრელიძემ და გუნიამ.“ მეოთხე რეცენზენტის სიტყვებიდან გამოდის, რომ კარგარეთლმა უხეიროდ ითამაშა.

თავს მოიხრის ბოიკოტით შეწუხებული (ასეთი ბოიკოტი კი შეგვიძლია!) კორესპონდენტი და ბოდიშის მოსახდელს წერილს გამოგზავნის რედაქციაში: არა, მე რომ ვსთქვი „არა უშავდაო“, ამით ქებას ვამბობდიო; თორემ ვინ არ იცის, რომ ქ. იქსი კარგი მოთამაშეაო. მაგრამ ამასთანავე გული არ მოუთმენს და ლაზათიანად შეუკურთხებს მეორე კორესპონდენტს, რომელმაც დიდად აქო მეორე გაზეთში ქ. იქსი...

ეს უკანასკნელი საპასუხო წერილს დასწერს, „საზიზღარი დაგმობა სიმართლისაო“, უწოდებს სახელს. პირველიც უპასუხებს, შეიქმნება მიწერ-მოწერა, გაიმართება პოლემიკა, დაიწერება ურიცხვი წერილი „კიდევ ხოტბის ავტორს“, „კიდევ და კიდევ სიმართლის აღსადგენად“ და სხ.-და-სხვ. და ყველაფერი ეს უნდა დაიწეროს ქაღალდზე, გაიგზავნოს ფოსტით, ფოსტალიონმა მიიტანოს რედაქციაში, რედაქტორმა უნდა გადაიკითხოს, მესტამბემ ააწყოს, კორექტორმა გაასწოროს, ცენზორმა თავისი დასტური დართოს მას, საბრალო მკითხველმა წაიკითხოს და თქვენმა უმორჩილესმა მონამ—სიტყვამაც მოიხსენიოს თავის „პატარა“, „პაწაწინა ამბებში“!..

აბა რას მოუხერხებს ამდენს ჩვენს პატარა ამბებს გინდ თოვლი, გინდ წვიმა, გინდ ქარიშხალი!..

* *

თუმცა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა და სანდო პირისაგანაც არის მოყვანილი ეგ ცნობები, მაგრამ მაინც არა მჯერა და არა! ბევრი ცუდი გამიგონია და მინახავს ჩვენს ცხოვრებაში,—ამას ხომ ძებნა არ უნდა: სადაც კი მიიხედავთ, ყველგან ბევრია მასალა ჩვენის დაცემის და უმოძრაობისა, მაგრამ კიდევ არა მჯერა ის ამბავი, რომ სამშობლო ენა, ჩვენი ქართული ენა, რომელიც ათას წლობით სული და გული იყო ჩვენი, რომელიც კიდობანი იყო ჩვენის არსებობის, როდესაც ირგვლივ ათასნაირი ურჯულო ხალხი შემოგვესეოდა და სისხლის ტბაში ვცურავდით, რომელზედაც ლაპარაკობენ, რომელსაც არ ივიწყებენ გადარჯულებული ქართველები სპარსეთში, რომელიც გვიერთებს გაჰმადიანებულ ქართველებს და მოაგონებს მათ ქართველ ეროვნებას, ეს ოდესღაც ძვირფასი ენა ჩალის ფასად არ ღირებულა დღეს ჩვენთვის!...

არ ვიცი, როგორ დავიჯერო: ქართველი ენა არსებობს გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში და ჩვენი მოსწავლე თაობა, მოსწავლე თაობა, რომელსაც სიყვარულით და იმედით შეჰყურებენ ყველგან, გულაცრუებულად ეკიდება, აღარ სწავლობს დედა ენას! ქუთაისში, ამ წმინდა ქართულ ქალაქში ქართველ მოსწავლეთა მარტო 54% სწავლობს ქართულსო! ხონში, სადაც 99,9% იმერლობა სცხოვრობს (და იმერლობა ხომ მტკიცედ იცავს თავის გვარტომობას!) და სადაც მთელის დღის სავალზე ირგვლივ ვერ გაიგონებთ სხვა ენას, თუ არა ქართულს, 518 ქართველი მოსწავლეა და მათში მხოლოდ 290 სწავლობს თავის დედა-ენას!..

რა იდეალები უნდა ჰქონდეს ასეთს თაობას! განა სიცოცხლის უნარს გამოაჩენს იგი? შეუძლია ემსახუროს იმ ქვეყანას, რომლის ენა ვერ შეუთვისებია თავიდანვე?! დღევანდელი, უკვე ცხოვრებაში გამოსული თაობა რაღაც ცოცხალ-მკვდარი თაობაა, უინიციატივო, დაწვრილმანებული, რწმენა დაკარგული, არც საქმეს მისას ბოლო არა აქვს, ყველაფერი გარშემო რაღაც ბურუსით არის მოცული მისთვის,—ამას ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ თაობაში მკვდარია სამშობლო ენა, გაწყვეტილია ის კავშირი, რომელიც უნდა აერთებდეს მას სამშობლო ქვეყანასთან! ეს თაობა ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ საქართველო თითქოს მის გონების და შეგნების გარეთ არსებობს!

რაღა იქნება ის მომავალი თაობა, რომელიც, როგორც ეტყობა, კიდევ უფრო განშორებია დედა-ენას?!...ეს ისეთი საგანია, რომელსაც არ შეგვიძლია მივაქციოთ ყურადღება „სხვათა შორის“. ჩვენ უნდა გავჩერდეთ პირდაპირ ამ საგნის წინაშე, მივაპყრათ მას ჩვენი გონება სავსებით და დავინახოთ, თუ რას გვიქადის მისი დღევანდელი მდგომარეობა! შეუძლებელია ჩვენი არსებობა, ჩვენი განვითარება, ვამბობ—არა ეროვნული, მიტომ რომ შეიძლება მისცენ ამ სიტყვას რაღაც განყენებული აზრი,—არა, შეუძლებელია ჩვენი განვითარება ქონებრივად, ზნეობრივად, გონებრივად! შეუძლებელია განვითარება, რადგან შეუძლებელია გონების მოძრაობა იქ, სადაც ადამიანებს დაუვიწყნიათ ენა, დაუკარგავთ კავშირი ერთმანეთთან და იმ ბუნებასთან, რომელიც გარს არტყია მათ. დედა-ენის არ ცოდნა ჩვენი გადაგვარებაა, ეროვნულად კი არა, ეგ ცოტაა!—არა, ფიზიკურადაც, ფიზიკურადაც! ჩვენი მომავალი იქნება პირდაპირი სიკვდილი, ამოწყვეტა! აღარ იქნება არამც თუ ქართული ენა, ქართველი ერი, აღარ იქნება ერთი ადამიანიც, რომლის წინაპრები ოდესღაც ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ!...

აი რა სურათი გვიდგია წინ! ვისი ბრალი იქნება მერე? ჩვენი და ჩვენი! ქართული ენა არსებობს სკოლებში, მაგრამ ჩვენ არ ვსწავლობთ! მისი არსებობა არ არის მთლად კარგს პირობებში? მერე ამით გვინდა გავიმართლოთ თავი და გავნადგურდეთ მოვისპოთ სულითაც და ხორცითაც?!..

როცა გვჭირს, ჩვენის მიზეზით! რაც მოგვივა, მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება!

ნიკუშა.

ეროვნული

წადი ეხლა და გაიგე, რომელია მართალი და რომელი არა! რომლის სიტყვა უნდა დაიჯეროს და ირწმუნოს ან მსახიობმა ან საზოგადოებამ? ასეთივე სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა პიესის შესახებაც. ერთმა რეცენზენტმა („ნოვ. ობოზრ.“), ასე გასინჯეთ, ქება-დიდებით მოიხსენია მსახიობი, რომელსაც ამ დღეს სცენაზე ფეხიც-კი არ გამოუდგამს. ის რეცენზენტი სწერს: „კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე ქ-ნმა გამყრელიძისამ კატოს როლშიო“; ქ-ნ გამყრელიძისას-კი ამ დღეს სულ არ მიუღია წარმოდგენაში მონაწილეობა...

Spectator

ფოთის ქალაქის საბჭო

5 ნოემბერი

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ ნ. ი. ნიკოლაძემ წაუკითხა საბჭოს საგაჭრო და საზღვაოსნო განყოფილების წინადადება იმის შესახებ, რომ ფოთში არსებული საზღვაოსნო სკოლა ორკლასიანათ იქმნას გადაკეთებული. ამ საქმის შესახებ გამგეობა შეეკითხება საზღვაოსნო სკოლის კომიტეტს, რომელსაც თავის განაჩენი გამოუგზავნია საბჭოსთვის განსახილველად. კომიტების მიერ წარმოდგენილ ოქმიდან აღმოჩნდა, რომ სკოლას, რაც დრო მიდის, მით მეტი მოსწავლე აწვდება და საჭიროა მისი უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებლად გადაკეთება. შემდეგ მოურავმა წაიკითხა ამ საგნის შეხახებ იმის მიერ აღძრული შუამდგომლობა და მოახსენა საბჭოს: საჭიროა, რომ სკოლა გადაეკეთოთ, თორემ შესაძლებელია სულ გააუქმონ. სარგებლობა კი ამ სკოლას დიდი მოაქვს. ბევრი ახალგაზდა ისარგებლებს ამით, რადგან ზღვაოსანთა მოთხოვნილება რუსეთში დიდია. ამისათვის საჭიროა სკოლის შესანახი ხარჯი ნახევარი ქალაქმა და ჩვენმა თავად-აზნაურობამ იდვას თავს, რომ სკოლა უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებლად იქმნას გადაკეთებულიო. საბჭომ დაადგინა, მიანდოს ქალაქის მოურავს, იშუამდგომლოს სკოლის გადაკეთების შესახებ; ამასთან მოელაპარაკოს ტამოჟნას, რომ სახლი, რომელიც რიონის ტოტის ნაპირთავთანაა, ქალაქმა სკოლისათვის შეიძინოს. საბჭომ განიხილა წინადადება გუბერნატორისა და თხოვნა ქვრივის ქალაქის ხუცეს-მოძღვარის ზაბლოცკისა იმის შესახებ, რომ ქვრივს ქალაქმა შემწეობა მის- [illegible] საბჭომ ამაზე უარი განაცხადა.

[illegible]აქის მოურავმა აუწყა კრებას 10 წლის [illegible]ასწაულობა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის [illegible] ი. კოვალევსკისა. „მოგეხსენებათ, ბ-მა კავალევსკიმ დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენ ქალაქის საქმეებში. ამისათვის ქალაქის მხრივ, 5 ოქტომბერს, დეპეშით მივულოცე 10 წლის დღესასწაული“. თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას როგორც მის მიერ გაგზავნილი დეპეშა, ისე ბ-ნ კოვალევსკის მიერ გამოგზავნილი პასუხი, სადაც იგი, სხვათა შორის, სწერს: „მუდამ მზათა ვარ დახმარება გავუწიო ფოთის ქალაქის საქმეებს, მით უმეტეს, რომ ქალაქს ასეთი მხნე და გამჭრიახი გონების ქალაქის მოურავი ჰყავს“-ო.

შემდეგ საბჭომ ერთ ხმად მიანდო ქალაქის მოურავს იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ 1903 წლისათვის საპორტო საქმეთა კომიტეტის სპეციალურ თანხიდან ქალაქს სხვა-და-სხვა საჭირო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შემწეობა აღმოუჩინონ.

კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ფინანსთა მინისტრის წინაშე აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, შავი ზღვის ნაპირად განზრახულ რკინის გზის ლიანდაგის ფოთზე გამოყვანის შესახებ. კამათის შემდეგ საბჭომ ეს საქმეც ქალაქის მოურავს მიანდო საშუამდგომლოდ და გამოსაკვლევად.

კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა, უძრავ მამულებზე დასადებელ გადასახადის გადიდების შესახებ. საბჭომ 16 ხმის უმრავლესობით 9 ხმის წინააღმდეგ უარ ჰყო გამგეობის წინადადება.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ რიონისა და კაპარჩას შემაერთებელ არხის პროექტი საპორტო კომისიამ მოიწონა და საჭიროა მისი განხორციელება, რადგან ეს არხი ადვილსა და იაფ-ფასიან მისავალ გზას შეადგენს პორტამდის კურიის მხარესათვის. საბჭო დაეთანხმა გამგეობის აზრს.

საბჭოს მოხსენდა ქალაქის ახალ საყასბოს წეს-რიგისა და გადასახადის შემოღების გეგმა. ბუთალმა ა. სვენჩმა წაუკითხა საბჭოს ვრცელი მოხსენება. საბჭომ დაადგინა წარუდგინოს იგი გუბერნატორს დასამტკიცებლად.

დასასრულ, საბჭოს მოხსენდა გეგმა კვირა-უქმე დღეებში ნოქრების შესვენების შესახებ. ამ საგანმა დიდი ბრძოლა გამოიწვია ორ მოწინააღმდეგე დასთა შორის. ძველ საბჭოს მინდობილობით ამ საქმის შესახებ გამგეობას უნდა წარედგინა ახალ საბჭოსათვის გეგმა, თანახმად ქუთაისსა და ბათუმში მიღებულ წესებისა. ბ. ი. ფანცხავამ წაუკითხა საბჭოს სხვა მეზობელ ქალაქებში არსებული წესრიგი, მაგრამ ხმოსნებს არც ეს ეპიტნავათ.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ, საბჭომ 13 ხმის უმრავლესობით 12 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: კვირაობით 12—3 საათამდის გაიღოს საგაჭრო დუქნები და დანარჩენ დროს დაიკეტოს. შემდეგ ხმ. ა. ჟვანიას წინადადებას უყარეს კენჭი, რომელიც სცდილობდა ნოქრების თავისუფლების შეზღუდვას, მაგრამ საბჭომ იმისი წინადადება არ მიიღო.

ი. იბნელი

თეატრი

ქართული ხალხი მოსკოვში. ადგილობრივი გაზეთები ერთ-ხმად ამბობენ, რომ 3 ნოემბრის ქართულ საღამოს მეტად კარგად ჩაუვლია და დიდ-ძალი ხალხიც დასწრებია. საკონცერტო განყოფილებაში საიმპერატორო თეატრების არტისტებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ქ-ნ ტერიან-ყორგანოვისას ალტაცებაში მოუყვანია მსმენელნი და რამდენჯერმე გაუმეორებია თავისი სიმღერები. მეტად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე ბ-ნ ფალიაშვილის ქართველ მომღერალთა გუნდს, რომელსაც ქართული ხმები მეტად მწყობრად და მუსიკის მხრით მეტად ხელოვნურად შეუსრულებია. თავ. ა. ი. სუმბათაშვილს (იუჟინს), რომელიც მეთაურად იყო ამ საღამოისა და რომელსაც დიდი შრომა გაუწევია ამისათვის, სხვათა შორის წაუკითხავს ვაჟა ფშაველას ნაწერებიდან ბ-ნ ხახანაშვილის მიერ ნათარგმნი სურათები ქართველთა ცხოვრებიდან. სამუსიკო განყოფილების შემდეგ ცეკვა გამართულა; „ლეკურ“-ის მოყვარული მოსკოვის საზოგადოება ალტაცებაში მოსულა ხელოვნურად ჩატარებულის „ლეკურით“.

—

თელავი. კვირას, 3 ნოემბერს, სომეხთა საქველ-მოქმ. ამხ. თეატრში, გაიმართა წარმოდგენა განსვენებულ აკ. ცაგარლის სახსოვრად. წარმოდგენილ იქმნა მისივე პიესა: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, შემდეგ წარმოდგენისა აპოთეოზი გაიმართა. საერთოდ წარმოდგ. მწყობრად ჩაიარა, მხოლოდ ზოგიერთ მოთამაშეს შეუფერებელი როლი ჰქონდა. წმინდა შემოსავალი, რომელიც 25 მან-დე იქნება, გარდაეცემა დაპირებისამებრ ერთს აქაურ ღარიბს.

აქაური

—

დღეს, 10 ნოემბერს, ქართულ თეატრში იაფფასიანი წარმოდგენა გაიმართება. წარმოადგენენ ზუდერმანის დრამას „პატიოსნებას“. წარმოდგენა შუადღის 12 საათზე დაიწყება.

—

დღესვე, საღამოზე, ავლაბარში, ბ-ნ მურაშკოს მიერ ახლად გამართულ სახალხო თეატრში, პირველი წარმოდგენა გაიმართება—ქართულ-რუსული. ქართულად წარმოადგენენ „მე მინდა კნეინა გავხდე“. მონაწილეობას იღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე და დრამატიულ დასის სხვა არტისტები.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი

პარიზი. მინისტრთა საბჭოში გუშინ დელკასემ გამოაცხადა, რომ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე მაროკოში არეულობა აღარ არისო. საფრანგეთის ქვეშევრდომთა დასაცველად საშუალებანი მიხმარეთო.

ბელგრადი. მინისტრ თოდოროვიჩს გამოუცხადებია ჟურნალისტებისათვის, რომ ახალი მთავრობა კონსტიტუციის ნიადაგს არ გადასცილდება; დაიცავს უფლებათა და უპირატესობათ და სდევნის იმათ, ვინც ბოროტად მოიხმარს ამ უფლება-უპირატესობათ. მთავრობა განსაკუთრებით ერთ დასზე არ იქმნება დანდობილი, პირ-იქით იმას ეცდება, რომ ყველა დასების გონიერი წარმომადგენელნი შეაერთოს.

9 ნოემბერი

პეტერბურგი. შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიამ დაადგინა ნება დართოს ადესიდან საქონლის გადაზიდვისა, რაც 2 აგვისტოს მოხდენილ განკარგულებით აკრძალული იყო.—საშიშრად არიან აღიარებულნი: შავი-ჭირის მხრით კუნძული ფორმოზა, ხოლერის მხრით—დანკალიის ნაპირა ადგილები ედდომსა და ბარაზოლოს შუა.

რიგა. რიგის სანავოსნო საზოგადოების „აუსტრა“-ს გემი „კონკორდია“, რომელიც დასავლეთ ავსტრალიიდან ახალ ზელანდიისაკენ მიდიოდა, კლდეს დაეჯახა და იმდენად გაფუჭდა, რომ გზის გაგრძელება აღარ შეუძლია. გემზე 70 კაცი მსახურებდა, რომელნიც გადაარჩინეს.

კიევი. სადგურზე ქალაქის თავმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიართვა მთავარ ანგელოზის მიხეილის ხატი. მინისტრი იყო პეჩორის ლავრაში და თაყვანი სცა წმიდა ნაწილებს; დაათვალიერა აგრეთვე ვლადიმირის საკრებულო ტაძარი.

ვლადივოსტოკი. ვეშაპების დამჭერმა კეიზერლინგის გემმა 12 ივლისიდან 25 ოქტომბრამდე 57 ვეშაპი მოჰკლა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, **სახირურგიო**, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
(0—48)

№ 4711
CAPTOL
„კაპტოლი“
საუკეთესო წყალი
თმებისათვის
თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასამაგრებლად. **ქერქლისა** და ქავილის და თმის დაცვენის წინააღმდეგი საშუალება; მომზადებულია მედიც. დოქტორის **მიხზოფისა** ელბერფელდში.
„კაპტოლი“ არ შეადგენს საიდუმლო საშუალებას.
ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულჰენსი
კელნი და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და სხვა მასალის დამმზადებელი.
(მც. 5.—2)

„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან
მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან
სურათებიანი დამატება
გამოვა კვირაში ორჯერ
ხუთშაბათობით და კვირაობით
ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.
ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ „ცნობის ფურცელი“ გაეგზავნებათ ორისავე დამატებით.
„მოამბის“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარეშ გაგზავნით—11 მან.
ხელის მომწერთ ვსთხოვთ, გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურთ, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“, ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.
ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე**—„Verité“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ ყველა ტფილისელ გაზეთების გამყიდავებთან ღირს ცალკე ნომერი **3** კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი **5** კაპ.
გაზეთები იყიდება აგრეთვე **ქუთაისში** ვ. ბეჟანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
ტელეფონი № 741.
გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.
(0—32)

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Ноября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)